ბრძანება N 04/173

173-01-4-202012301624

30/12/2020

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის ადვოკატირების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ და „ი“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს 2021 წლის ადვოკატირების სტრატეგია თანდართული სახით.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო

2021 წლის ადვოკატირების სტრატეგია

დეკემბერი, 2020

1. შესავალი

2020 წელს, ბოლო წლების მსგავსად, კონკურენციის ადვოკატირება საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო. კონკურენციის ადვოკატირება მოიცავს კონკურენციის უწყების მიერ განხორციელებულ ყველა იმ ღონისძიებას, რომლის მიზანიც, სხვა საჯარო უწყებებთან თანამშრომლობითა და კონკურენციის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებით, კონკურენტული გარემოს ხელშეწყობაა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში, კოვიდ-19-ის გავრცელებასთან დაკავშირებით დაწესებული შეზღუდვების გამო, სააგენტოს არ მიეცა 2020 წლის ადვოკატირების სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების სრულად განხორციელების შესაძლებლობა. ამდენად, ადვოკატირების ის ღონისძიებები, რომელიც 2020 წელს ვერ შესრულდა, კვლავ დარჩება სააგენტოს 2021 წლის პრიორიტეტად.

მიუხედავად პანდემიის გამო ქვეყანაში შექმნილი რთული ვითარებისა, 2020 წელს სააგენტოს განვითარებისა და მისი საქმიანობის ახალ საფეხურზე გადასვლისათვის ორი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ღონისძიება განხორციელდა:

- მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონში, შესაბამის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, კონკურენციის ეროვნული კანონმდებლობა მაქსიმალურად დაუახლოვდა ევროკავშირში არსებულ სტანდარტს. გარდა იმისა, რომ განხორციელებული ცვლილებები პასუხობს სააგენტოს წინაშე მდგარ გამოწვევებს და ემსახურება მთელი რიგი პრაქტიკული თუ სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრას, ხსენებული ცვლილებები ასევე ხელს შეუწყობს კონკურენციის-სამართლებრივ წარმოებაში მხარეთა უფლებების უკეთ დაცვას და პროცედურული სამართლიანობის უზრუნველყოფას. ცვლილებების უმრავლესობა 2020 წლის 4 ნოემბრიდან ამოქმედდა.
- საქართველოს პარლამენტმა მიიღო „ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონი. კანონის თანახმად, ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების მიზნით საკითხის შესწავლას სააგენტო განახორციელებს. კანონი 2021 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება, ხოლო მისი აღსრულების მიზნით კონკრეტული საქმეების განხილვა 2021 წლის 1 ივნისიდან დაიწყება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 2021 წლის სააგენტოს ადვოკატირების სტრატეგიას დაემატება ახალი მიმართულება - ანტიდემპინგური კანონმდებლობის ადვოკატირება. ამდენად, ადვოკატირების ღონისძიებების ძირითადი მიზანი დაინტერესებული საზოგადოებისათვის ზემოთ დასახელებული ცვლილებებისა თუ დემპინგთან დაკავშირებული ახალი საკანონმდებლო რეგულაციების გაცნობა იქნება.

2021 წლისათვის ადვოკატირების (როგორც კონკურენციის, ასევე ანტიდემპინგის მიმართულებით) სტრატეგიის სამიზნე ჯგუფები უცვლელი რჩება.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ადვოკატირების პროცესის ეფექტიანად წარმართვა მნიშვნელოვან ხარჯებთან არის დაკავშირებული და საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი სააგენტო ხშირად მოკლებულია შესაძლებლობას, დამოუკიდებლად განახორციელოს ყველა ძირითადი აქტივობა. შესაბამისად, ამ პროცესში უდიდესი მნიშვნელობის მატარებელია სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებისა თუ დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადვოკატირების წინამდებარე გეგმაში მითითებული აქტივობების ნაწილის განხორციელება სააგენტოს სახსრებით იგეგმება, ხოლო ნაწილი დამოკიდებულია დონორთა დახმარებაზე და შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი ამ მხარდაჭერის გარეშე ვერ განხორციელდეს.

ადვოკატირების 2021 წლის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება, გარდა ზემოაღნიშნული ფინანსური ასპექტისა, მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული მსოფლიოში არსებულ, პანდემიასთან დაკავშირებულ მდგომარეობაზე.

2. ადვოკატირების ძირითადი მიმართულებები 2021 წლისათვის

2.1. კონკურენციის და ანტიდემპინგის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება

როგორც უკვე აღინიშნა, 2019-2020 წლებში ადვოკატირების სტრატეგიისათვის განსაზღვრული ძირითადი სამიზნე ჯგუფები მოიცავდა საზოგადოების ყველა იმ ჯგუფს, რომელთა ჩართულობა ადვოკატირების ღონისძიებებში უმნიშვნელოვანესი იყო პროცესის წარმატებით განხორციელებისა და ადვოკატირების მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, 2021 წლისათვის ადვოკატირების სტრატეგიის სამიზნე ჯგუფები უცვლელი დარჩება: ეკონომიკური აგენტები, სახელმწიფო უწყებები და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფები - მოსამართლეები, ადვოკატები, ჟურნალისტები, სტუდენტები, არასამთავრობო სექტორი, აკადემიური წრეები. ასევე, ანტიდემპინგის ნაწილში, მნიშვნელოვანი გახდება ცალკე სამიზნე ჯგუფად ადგილობრივი მწარმოებლების იდენტიფიცირება.

სააგენტოს პოზიციით, უმნიშვნელოვანესია ადვოკატირების ღონისძიებების დაგეგმვისას ყურადღება გამახვილდეს ახლად მიღებული ანტიდემპინგური კანონმდებლობის მოთხოვნებზე და იმ ცვლილებებზე, რომელიც კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელდა. აუცილებელია ყველა დაინტერესებულ სამიზნე ჯგუფთან დიალოგი და ცვლილებების გაცნობა, მათ შეძლონ შეცვლილ მოთხოვნებსა და პროცედურებთან მარტივად ადაპტირება.

2.2. საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს ცნობადობის ამაღლება და სხვა ქვეყნების შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაღრმავება

კონკურენციის სააგენტოსათვის უმნიშვნელოვანესია მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების კონკურენციის ორგანოებთან თანამშრომლობა და მათი მრავალწლიანი გამოცდილების გაზიარება. ყოველდღიური საქმიანობის წარმართვისას, სააგენტო ცდილობს მუდმივად გაეცნოს და გამოიყენოს კოლეგა უწყებების მიდგომები, რათა სააგენტოს გადაწყვეტილებები შესაბამისობაში იყოს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია აქტიური თანამშრომლობის, კონსულტაციებისა და ინფორმაციის გაცვლის გზით, რაც კონკურენციის სფეროში არსებული საერთაშორისო ორგანიზაციების ფორმატში ეფექტიანად ხორციელდება.

საერთაშორისო თანამშრომლობის და გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიებების მიმართულებით, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ეს სფერო სრულიად ახალია როგორც ქვეყნისთვის, ისე სააგენტოსთვის. ამდენად, ამ მიმართულებით ქვეყანაში არც თეორიული და არც პრაქტიკული გამოცდილება არ არსებობს.

ქვეყნის შიგნით განსახორციელებელი ადვოკატირების ღონისძიებები

	ღონისძიება	სამიზნე ჯგუფი	სავარაუდო თარიღი	რესურსი[1]
1.	„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებების გაცნობა/პოპულარიზაცია	კონკურენციის საკითხებით დაინტერესებული ყველა პირი (ბიზნესი, ადვოკატები, აკადემიური წრეები, არასამთავრობო სექტორი)	2021 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი
2.	ელექტრონული საინფორმაციო ბროშურის შექმნა და გავრცელება საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ	კონკურენციის საკითხებით დაინტერესებული ყველა პირი	დამზადება - თებერვალი-მარტი, გავრცელება - მთელი წლის მანძილზე	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი

[1] ზოგიერთი ღონისძიება, რომელიც საჭიროებს რესურსებს დონორისგან, შესაძლოა ვერ განხორციელდეს შესაბამისი ფინანსური დახმარების გარეშე.

3.	„საუბრები კონკურენციაზე“ - ღონისძიებების ციკლი, რომელიც ითვალისწინებს კონკურენციის სააგენტოს წარმომადგენლებისა და კონკურენციის სამართლით დაინტერესებული პირების დიალოგს კონკურენციის პოლიტიკის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის: შეხვედრა ბიზნეს სექტორის/ ასოციაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა აკადემიური წრეებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა ადვოკატებთან და საკონსულტაციო კომპანიების წარმომადგენლებთან	კონკურენციის საკითხებით დაინტერესებული ყველა პირი (ბიზნესი, ასოციაციები, აკადემიური წრეები, არასამთავრობო სექტორი, ადვოკატები, საკონსულტაციო კომპანიები და ა.შ.)	2021 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი
4.	საჯარო ლექციები კონკურენციის სამართლის შესახებ	სტუდენტები	გაზაფხული, შემოდგომა	სახელმწიფო ბიუჯეტი
5.	საქართველოს კონკურენციის სააგენტოს 7 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება და 2020 წლის ანგარიშის წარდგენა	კონკურენციის საკითხებით დაინტერესებული პირები	2021 წლის აპრილი	სახელმწიფო ბიუჯეტი
6.	შეხვედრები მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებთან, კონკურენციისა და ანტიდემპინგური პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე	ჟურნალისტები	2021 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი
7.	„ვაჭრობაში ანტიდემპინგური ღონისძიების შემოღების შესახებ“ საქართველოს კანონის გაცნობა/პოპულარიზაცია	ანტიდემპინგური საკითხებით დაინტერესებული ყველა პირი (ბიზნესი, ადგილობრივი მწარმოებლები), ადვოკატები, აკადემიური წრეები, არასამთავრობო სექტორი, მოსამართლეები)	2021 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი
8.	ანტიდემპინგური ღონისძიებების გამოყენების საკითხებთან დაკავშირებით საინფორმაციო ბროშურის დამზადება და გავრცელება	ანტიდემპინგური საკითხებით დაინტერესებული ყველა პირი (ბიზნესი, ადგილობრივი მწარმოებლები) ადვოკატები, აკადემიური წრეები, არასამთავრობო სექტორი, მოსამართლეები)	2021 წელი	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი

საერთაშორისო ღონისძიებები[2]

	ღონისძიება	ქვეყანა, ქალაქი	სავარაუდო თარიღი	რესურსი[3]
1.	უნგრეთის კონკურენციის რეგიონალური ცენტრის (OECD GVH-RCC) მიერ ორგანიზებული ღონისძიებები	უნგრეთი, ბუდაპეშტი	4 ღონისძიება 2021 წლის მანძილზე	აფინანსებს მომწვევი მხარე
2.	კონკურენციის საერთაშორისო ქსელის (ICN) წლიური კონფერენცია		გაზაფხული	დონორი/სახელმწიფო ბიუჯეტი
3.	გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) ყოველწლიური შეხვედრა	შვეიცარია, ჟენევა	ივნისი/ივლისი	დონორი/სახელმწიფო ბიუჯეტი
4.	კონკურენციის საერთაშორისო ფორუმის ყოველწლიური შეხვედრა - თურქეთის კონკურენციის უწყების და UNCTAD-ის ერთობლივი ღონისძიება	სტამბული, თურქეთი	შემოდგომა	დონორი/სახელმწიფო ბიუჯეტი
5.	OECD-ის კონკურენციის გლობალური ფორუმი	საფრანგეთი, პარიზი	დეკემბერი	სახელმწიფო ბიუჯეტი/დონორი
6.	სასწავლო ვიზიტი ანტიდემპინგურ ღონისძიებებთან დაკავშირებით - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (WTO) ან ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამის ორგანოში	შვეიცარია, ჟენევა ან აშშ	2021 წელი	დონორი

[2] ცხრილში მოცემულია ღონისძიებების არასრული ჩამონათვალი, ვინაიდან სააგენტოს ამ ეტაპზე არ აქვს სრული ინფორმაცია ზოგიერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო ღონისძიების თაობაზე.

[3] როგორც უკვე აღინიშნა, ზოგიერთი საერთაშორისო ვიზიტი, რომელიც საჭიროებს რესურსებს დონორისგან, შესაძლოა ვერ განხორციელდეს შესაბამისი ფინანსური დახმარების გარეშე. გარდა ამისა, საერთაშორისო ღონისძიებების განხორციელება დამოკიდებულია კოვიდ-19-თან დაკავშირებულ მდგომარეობაზე.